ამდენი მაყურებელი არ ახსოვს...

გუშინწინ რუსთავში გაიმართა საწვრთნელი მატჩი ფეხბურთში თბილისის „დინამოსა“ და რუსთავის „მეტალურგს“ შორის. ფეხბურთის მოყვარულთა ინტერესი მატჩისადმი უდიდესი იყო: „მეტალურგის“ სტადიონს ამდენი მაყურებელი არ ახსოვს.

მატჩი დაიწყო დინამოელთა აშკარა უპირატესობით. განსაკუთრებით აქტივობდნენ მესხი და ნოდია, რომლებიც განუწყვეტლივ ამარაგებდა ბურთებით ცენტრში მყოფ ასათიანს. ანგარიში მე–15 წუთზე გახსნა ნოდიამ, ხოლო ათიოდე წუთის შემდეგ კუტივაძემ შესანიშნავად მოაწოდა კუთხური და ბურთი შეუფერხებლივ გავიდა კარის შორეულ კუთხეში – 2:0. 30–ე წუთზე ასათიანმა თავით გაიტანა მესამე გოლი.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა ოდნავ გამოასწორეს თამაში, მაგრამ ენერგიულად მოქმედ კონიაშვილის მხარდაჭერა არ ჰქონდა პარტნიორთა მხრივ. 70–ე წუთზე ასათიანმა ანგარიში აიყვანა 4:0–მდე.

გუნდები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: „დინამო“ – კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ასათიანი, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე (ჭოხონელიძე), ილიადი, ნოდია, ბარქაია (ხართიშვილი), მესხი; „მეტალურგი“ – მაკარიანი, კარამაშოვი, გომელაური, ხურციძე, ხაჩიძე (სოკოლოვი), ბაღდასარიანი, ჯიმშელაძე, ბოჭორიძე, კონიაშვილი, გემეზაშვილი, ჩიხლაძე.

რ. გაბრიჭიძე
“ლელო” 14.II. 67 წ.